**რედაქცია**

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. ⁝ სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ⁝ ერთის თვისა. . . 1 მან.


# დროება


გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი



ამ ნომერში რვა გვერდია

მიიღება ხელის - მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| წლით (12 თვით) — — 9 მან. | 6 თვით — — 5 მან. |
| 11 თვით — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — 8 მან. | 4 თვით — — 4 მან. |
| 9 თვით — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — 3 მან. |
| 8 თვით — — 7 მან. | 2 თვით — — 2 მან. |
| 7 თვით — — 6 მან. | 1 თვით — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის - მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოუგზავნოს რედაქციაში.


## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

17 ნოემბერს.

პეტერბურგი. პერფილიევი, რომელიც სენატის განჩინების გამო დათხოვნილ-იქმნა ფოსტის და ტელეგრაფის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობისაგან ხაზინის ფულის დახარჯვისათვის, უმაღლესის ბძანებით გამოირიცხა სამსახურიდგან ისე, რომ ამას იქით ვერაფერს სამსახურში ვეღარ შევა; ამასთანავე დახარჯული ფულიც შეავსოს და 15,000 მანეთი ჯარიმაც გარდახდა.

იმის გამო, რომ ათ დასავლეთ გუბერნიაში სამჯავრო რეფორმები მოახდინეს, ვილნოს მეერთებული პალატა დაიხურება 20 ნოემბერს, გროდნოსი 23, კოვნოსი 26 და მინსკისა 30-სა.

«ნოვოე ვრემია» იწერება, რომ განზრახვა აქვთ მომავალს წელიწადში გახსნან კიდევ ექვსი განყოფილება საგლეხო ბანკისა, სხვათა შორის, კოვნოში და სიმფეროპოლშიც; ამასთანავე ფიქრობენ, გაგზავნონ ხოლმე ცენტრალური გამგეობის თითო წევრი სხვადა-სხვა გუბერნიებში იმ გლეხების ყოფა-ცხოვრების გასაცნობლად, რომელთაც შეისყიდეს მიწები სახემწიფოსგან სესხად მიცემული ფულით, და აგრეთვე ბანკის მოქმედებათა გასარჩევად.

პარიჟი. ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ ეხლა ფინანსიური მდგომარეობა უკეთესია შარშანდელზე და კიდევ დღითი-დღე უმჯობესდება. პარლამენტის კომისიამ რომელსაც ტონკინის საქმეების განხილვა აქვს მინდობილი, მისცა 9,000,000 ფრანკი ექსპედიციისათვის.

რუზე. ფაბრიკების უბანში ძრიერი ცეცხლი უკიდია სახლებს, მილიონების ზარალია; სხვათა შორის დაიწვა უშველებელი მაუდის ფაბრიკა.

ბელგრადი. ნამინისტრალი გარაშანინი დაინიშნა ელჩად ვენაში.

## მასწავლებელთ საყურადღებოდ.

აგერ ხუთი-ექვსი თვე მიმდინარეობს მას აქეთ, რაც რომ მე გაზეთ «შრომაში» ერთი მოწინავე წერილი დავბეჭდე, რომელიც შეეხებოდა მასწავლებელთა კრებას. აქ მოკლედ იყო ნათქვამი მასწავლებელთა კრების სარგებლობაზე და იმ საგნებზე, რომელთაც, ჩემის აზრით, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ხოლმე; შემდეგ ვიწვევდი მასწავლებლებს, რათა მათ ჩემის წერილის გამო გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამავე საგანზე, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის არავინ არაფერს არ ამბობს. ამ გვარი სიჩუმე მასწავლებელთა რას უნდა დაბრალდეს? ნუ თუ ჩვენებური სკოლები და მასწავლებელნი იმოდენად ამაღლებულ წერტილამდის მისულან, რომ ალარაფერი არ ეჭირვებათ? იქნება ამ სიჩუმის მიზეზი არა იმათგან დამოკიდებული მიზეზი იყოს? იქნება, ჩვენდა სავაგლახოდ, მასწავლებლები ისე მიყრუებულ ადგილებში სცხოვრებენ, რომ ჩვენი წერილი არც კი უნახავთ? ერთის სიტყვით, ასე თუ

## «დროების» ფელეტონი, 19 ნოემ.

### ქუთათური ფელეტონი

ბ. ს. ღულაძის ეპისტოლე რედაქციისადმი.—ახალი პროგრამა ჩვენებური სასულიერო სასწავლებლებისა.—უკეთესი შედეგი ამ პროგრამისა.—სასულიერო გაზეთი «მწყემსი» და მისის რედაქციის ისტორიული ფილოსოფია

დიდი ალიაქოთი მოახდინა ქუთაისის სტაქანში ბ. ს. ღულაძის ეპისტოლემ «დროების» რედაქციისადმი*) განსაკუთრებით თავისის გარეგანის მხრით, ესე იგი, ენით და მართლწერით. დიდი თავის-ხეთქა იყო იმის ასახსნელად, თუ რატომ ეძახის თავისთავს არა-მკითხე—მოამბე ორატორი ჩვენის ქალაქის საბჭოისა ბატ. სოლომონ ღულაძეს და არა ღულაძეს?!... ან რას ნიშნავსო: «მიეცით ადგილი დაბეჭვდისა». რასაკვირველია, ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ერთგანაც და მეორედგანაც დიდი რამ საიდუმლო იმალებაო, მაგრამ სახელდობრ რა საიდუმლო—ამის გამოცნობამ კი ბევრს მოაწურვინა სიმწარის ოფლი! ისიც იყო დეპუტაცია, პატივცემულთა და მოსწრებულთ მოქალაქეთაგან შემდგარი, მიემგზავრებოდა თვითონ ბატ. ღულაძესთან განმარტების სათხოვნელად, რომ ქუჩიდგან გამოვარდა ერთი ვიღაც ცბიერი ბიჭი და წასჩურჩულა დეპუტაციის ერთს წევრთაგანს ყურში—ბატ. ალნიაშვილის ახალს სახელმძღვანელოში ნახავთ გამოცანის ახსნასო და სახელდობრ იმ განყოფილებაში, სადაც არევ-დარევით დასმული ასოებიდგან სიტყვები არიან შესადგენნიო. მართლაც, მიმართეს ბატ. ალნიაშვილის სახელმძღვანელოს და დაიწყეს ვარჯიშობა ასოების გადასკუპ-გადმოსკუპებაში. უეცრად ერთი მათგანი გავარდა ქუჩაზედ და დაიწყო გიჟსავით ყვირილი—ვნახეო!... ამ დროს სწორედ გამოჩენილი მატემატიკოსი არხიმედი მომაგონდა, რომელიც, როგორც ისტორია მოგვითხრობს, ერთი არითმეტიკულის გამოცანის ახსნას მიხვდა აბანოში ტანის ბანის დროს!... ჩვენი ორატორი სოლომონი იმიტომა სწერს თავის გვარს ღულადძეთო, რომ თავის შთამომავლობის გენეოლოგია იცისო კარგად და იცისო, თუ საიდგან წარმოსდგების ლექსი ესე ღულადძეო... იქადვანო, რომ ერთს მისს წინაპარს ერთი უღელი ძე ჰყოლიაო, — ღულაძე ბატ, ალნიაშვილის გამოგონილის სისტემით «უღლად ძე» არისო, ეს სთქვა და ევრიკაო, დაიძახა!...

***

ამ წერილის შემდეგ შეიკრიბა ქუთაისის ღუბერნიის ბრწყინვალე თავად-აზნაურობა იმის გარდასაწყვეტად, თუ რომელი ადგილი უფრო სასარგებლო იქნება, რომ იყიდონ: ბატ. ღულაძის ადგილი, რომელიც «დამაკმაყოფილებელია ყოველ გვართა სკოლისათვის პირობაებთა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის კეთილდღეობისა», თუ კნეინა ელეონორას ადგილი, «ჩიხოტკიანისა მარგებელი, ხოლო მრთელი ყმაწვილებისათვის ჩიხოტკისა გამჩენი?» მაგრამ ერთი საგანი დაიბადა კრებაზედ—ბანკსა აქვს უფლება თუ არაო, რომ უძრავი ქონება შეიძინოსო?... ზოგი ჰოს ამბობდა და ზოგი არას... მე, როგორც გარეშე მაყურებელს, არც ჰოს თქმა შემიძლიან და არც არასი; მაგრამ ამას კი მოგახსენებთ, რომ ბანკის სამმართველოს და ზედამხედველს კომიტეტს ან ბანკის წესდება არა სცოდნიათ და ან რუსეთის კანონებისა ბევრი არა იციან-რა. ერთიც და მეორეც საკვირველი კია, რადგან სამმართველოც და კომიტეტიც თითქმის მთლად იურისტებით არიან ავსილნი.

ამ კრებაზედ ჩემი ყურადღება, როგორც «სიცილისა და ფეხის გამოდების გუნებაზედ მყოფის კაცისა», მიიპყრო მრთლად ერთმა საპატიო გვამმა. იმას რომ შევსცქეროდი, სულ ნეტარ ხსენებული დარვინი და მისი მოძღვრება მაგონდებოდა; მაგონდებოდა და ამ გვამზედ ვამოწმებდი დარვინის თეორიას შესახებ იმისა, თუ როგორ წარმოსდგა ერთგვარი ჩინჩახვა მტრედი (дутышь). მითხრეს, ეს გვამი თავი არისო. შეიძლება თავი კი იყოს, მაგრამ უფრო ადვილად კიდევ ის შეიძლება, რომ ეს თავი ფიქრებისა და ზრუნვის კოლოფი არ უნდა იყოს. ეს სწორედ ასეც საფიქრებელია, თუ ტყუილი არ უთქვამთ, რომ როცა ხორცი სუქდება, მაშინ სული მჭლევდებაო.. სხვებრ, სასურველია და დიდად სასარგებლო საზოგადოებისათვის, რომ ჩინჩახვა-მტრედები გამრავლდენ, რადგან მხოლოდ ისინი შეადგენენ მყუდრო ცხოვრების უტყუარს ბურჯს. ილიოს კეისარს ტყუილად კი არ ეშინოდა უპირველეს ყოვლისა ჩამომხმარი კაცებისა!..

***

ჩვენმა საზოგადოებამ დიდის ალტაცებით მიიღო სასულიერო სასწავლებლების ახალი პროგრამა და გულ-

*) იხილე «დროების» № 210.

ისე, ჩვენი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ამ ჟამად სხვათა შორის კიდევ მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა და იმედია ახლა მაინც ხმას გამომცემენ. როდესაც დასტამბული სიტყვა ჩუმად, შეუნიშნავად მიდის, ავია თუ კარგია იგი,— უნდა იცოდეთ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება საძილოდ არის განმზადებული. თუ ეს ასე არ იყოს, განა ისეთმა საგნებმა, რომელნიც სწავლა-განათლებას შეეხებიან, უმნიშვნელოდ უნდა ჩაიარონ! სწავლა-განათლება არის, როგორც მოგეხსენებათ, უპირველესი საშუალება კაცობრიობის კეთილ-დღეობისა და წარმატებისა.

და ერთი მრავალ საშუალებათაგანი სწავლა-განათლების კარგ გზაზე დაყენებისა არის მასწავლებელთა კრება. რადგანაც მასწავლებელნი სწავლის კარების გამღებნი და იმისი წინამძღომელნი არიან, ჯერ თვითონ უნდა იყვნენ რიგიანი სწავლისა და გონების პატრონნი და თავიანთ საქმის მოყვარულნი. თვალპირველად ყოველივე საქმე ხალხის განათლების შესახებ მასწავლებლებს უნდა ეკითხოს.

განათლების სამინისტრომ ამ ორის წლის წინად წარმოსთქვა, რომ განათლების საქმეში მასწავლებლები უნდა გაერიონ ხოლმე. სასწავლებლების მზრუნველებს მისწერა: «პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კრებანი და საერთოდ განსჯა და ახსნა მათგან იმ საგნებისა, რომელნიც თავიანთ პრაქტიკაში საეჭვოდ დაუნახავთ, დიდს სარგებლობას მოუტანს როგორც თვით მასწავლებლების განვითარებას, ისე სკოლის საქმეს (სახალხო განათლების სამინისტროს ცირკულიარი, 31 ივნისი 1881 წ.).

ჩვენ, როგორც მასწავლებელნი, ისე თვით ხალხი და მისი აზრის გამომთქმელი პრესსა გავჩუმებულვართ. არ ვთხოულობთ იმასაც კი, რაც კანონის ძალით გვეკუთვნის. რუსეთში წელიწადი არ გავა, რომ რომელსამე დირექციაში ერთხელ მაინც, თუ მეტად არა, მასწავლებელთ კრება არ მოხდეს. რუსეთის მასწავლებელთ კრებებზე ბევრი საქმე გაირჩა, როგორც სწავლისა ისე თვით მასწავლებლის მატერიალური და სულიერი ცხოვრების გაუმჯობესობის შესახებ. აგერ მეოთხე წელი განმავალობს მას აქეთ, რაც ჩვენს მასწავლებლებს ერთმანეთი არ უნახავთ, რაც მიყრუებულნი სცხოვრებენ სოფლებში და როგორც ღმერთი აფიქრებინებს, ისე მიჰყავთ სკოლის საქმე. ავია თუ კარგი მათი მოქმედება, გამსწორებელი არა ვინა ჰყავთ. მასწავლებლები, კრების გარდა, სხვა საშუალებასაც მოკლებულნი არიან, რომ ნაკლულევანება აიცილონ და თავიანთ აზრი სხვას შეატყობინონ. არა აქვთ ისეთი პედაგოგიური ორგანო, რომელშიაც შეიძლებოდეს სკოლის საქმეების განმარტება. ამ გვარის უარაობის წყალობით საზოგადოება, სკოლა და მასწავლებელნი ერთმანეთს ვერა სცნობენ, მაშინ როდესაც სამნივ ერთად უნდა იყვნენ შეხორცებულნი, ერთის აზრით და ერთის გრძნობით მოცულნი.

მე ხელ-მეორედ ვთხოვ სოფლის თუ სხვა სასწავლებლების მასწავლებელთ თავისი მოსაზება წარმოსთქვან გაზეთით, თუ რა გვარი საშუალებანი არიან საჭირონი ამ საშუალების მისაღწევად.

გადამშლი.

## შინაური ქრონიკა

≈≈ გუშინ წინ, ხუთშაბათს საღამოზედ, შესდგა ჩვეულებრივი ტერმინების კრება, რომელზედაც ხალხი კიდევ ბლომად დაესწრო და თითონ კრებაც გაცხოველებული იყო. კრებაზედ გეომეტრიის კარგა ძალი ტერმინები შეიმუშავეს, ასე რომ ამ საგანსაც მალე გაათავებენ და შემდეგ ან ფიზიკას შეუდგებიან, ან გეოგრაფიას. ამ დღეებში ჩვენის გაზეთის ერთ-ერთს ნომერში მოვაქცევთ არითმეტიკის ტერმინების სრულს სიას.

≈≈ ერთი წევრი დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობისა გვწერს: «გაზეთში წარმოთქმული საყვედური, რომ თავად-აზნაურობა სკოლისათვის ფულის გაწერაზედ აღარასა ჰფიქრობს,—დუშეთის მაზრას არ შეეხებაო». მართლაც, დუშეთის მაზრაში ორი ყრილობა შემდგარა ამ საქმეზედ და უკანასკნელს ამათგანს გაუწერია კიდეც ფული, შეუდგენია სიები და წარუდგენია თბილისის გუბერნიის მარშალთან 22 სექტემბერს ამა 1883 წ.

სიამოვნებით ჩავწერთ ამ ამბავს ჩვენის ცხოვრების ქრონიკაში და ვისურვებთ, რომ დუშეთის მაზრის ჩინებულის მაგალითისათვის სხვა მაზრებსაც მალე მიებაძოს და ისე ცხარედ დაწყობილი [illegible] საქმე უზრუნველობისაგან [illegible]ყოს.

≈≈ სოფ. ურიათუბნიდამ (კახეთი) გვწერენ: „ნოემბრის 9-ს, დილა ადრიან, ჯერ მზეს თავი არ ამოეყო, რომ რაღაცა ყვირილი შემომესმა. წამოვხტი და გაველ ქუჩაში, რომ შემეტყო მიზეზი ყვირილისა; ვნახე ქუჩაში, ხალხი ცალ-ცალკე პარტიად მიაგროვილიყო და ერთი ქოთქოთი და კიჟინა გაჰქონდა. ჩაველი და ვკითხე ერთს მათგანს მიზეზი ასე ადრე შეყრილობისა და ქოთქოთისა. მითხრეს: მამასახლისის რჩევა არის და მაჩნაძიანს მივალთო. ამ სიტყვებზედ შეკრებილი ხალხი წავიდ-წამოვიდა. პატარა ხანს უკან, ერთის ქუჩიდგან გამოვიდა ორ პარტიათ შეკრებილი ხალხი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ოტკისათვის დაეძლიაც. ერთს პარტიას ერთი უნდოდა მამასახლისად, მეორეს—მეორე. რასაკვირველია, დალეულ ხალხს აღარ გაეგებოდა, ვინ იყო ღირსი მამასახლისობისა და ვინ არა,—ერთი იძახოდა მხოლოდ ზ. კ—შვილი გვინდაო და მეორენი პ. გ—შვილიო.

«აი ამ სახით ირჩევს ურიათუბნის საზოგადოება მამამასახლისს და ბოლოს კი ემდურის—ცუდი მამასახლისი გვყავს და საქმის წარმოება არ იცისო.

«თუ არავინ ჩამგონებელი არ გაუჩნდა ხალხს და ისევ იმ სახით ამოირჩიეს მამასახლისი, კარგს დღეში არ ჩავარდება ურიათუბნის საზოგადოება.»

---

სა და სულში ჩაიხუტა. ღმერთსა მადლობა შესწირეს, რომ სასულიერო სასწავლებლებში მაინც აღირსეს ქართულს ენას შესაფერი ადგილი და გახადეს სავალდებულო საგნად. ეგ მეც ძლიერ მომწონს და მზათა ვარ ოლიმპიელს ღმერთებს «ზვარაკი ჰამებული» დავუკლა. მაგრამ ამაზედ უფრო მომწონს და უფრო პირწყნვალე იმედებითაც ვეგებები იმას, რომ ბერძნული ენა უკუაგდეს და ლათინურის ენის გაკვეთილები შეამცირეს ოთხ კლასიანს სასულიერო სასწავლებლებში და რომ განზრახვა არის, რათა სემინარიის პროგრამიდგან ოსტრაკიზმით გააძევონ ფილოსოფია, ფსიხოლოგია და პედაგოგიკა და შეამცირონ ბერძნულის ენის გაკვეთილები. აი აქედგან ველი, ჩემის ღრმად დარწმუნებით, უკეთესს შედეგს. მართლაც, ამას შემდეგ ჩვენის სასულიერო სემინარიის პროგრამა ისე ძირითადად იქნება შეცვლილი, რომ საფიქრებელია სემინარიას ეგრედ წოდებულს სტუდენტებს აღარც კი ჰქონდესთ ნება, რომ სასულიერო აკადემიებში განაგრძონ თავიანთი განათლება; და ეს ერთი მით იქნება კარგი, რომ ჩვენი შვილები რუსეთის აუტანელს ჰავას ასცილდებიან და, მაშასადამე, ჭლექიანთა და მკვდართა სიები შემცირდებიან; მეორეც ბერებსა და მღვდლებში აკადემიელები აღარ გვეყოლებიან და არც მაინც და მაინც საჭიროა ბერებისა და მღვდლებისათვის მაღალი განათლება; მესამეც ისა, რომ სასულიერო სასწავლებლებში უფროსებათ და მასწავლებლებათ ჩვენებურები აღარ იქნებიან, რადგან ახალის განკარგულებით მასწავლებლებად ღვთის მეტყველების კანდიდატები უნდა დაინიშნებოდენ ხოლმე, და მეოთხეც ისა, რომ ახალს პროგრამაზედ სემინარიის კურს-შესრულებულები გარემოებათა ძალით იძულებულნი იქნებიან, რომ უსათუოდ მღვდლებათ წავიდენ ხოლმე სოფლებში. აი სწორედ ამ უკანასკნელიდგან უნდა ველოდეთ «გაბედნიერებას» და მე მგონია, რომ სულაც იმიტომ განუზრახავთ რეფორმა, რომ ჩვენს ხალხს ნასწავლი მღვდლები მისცენ, რომელთაც შეეძლებათ სამრევლო სკოლების გამართვა სოფლებში, დაცემულის ზნეობისა და სარწმუნოების აღდგენა, სამზრუნველოების, მოწყალების სახლების*) გამრავლება და სხვა ათასი რამე-რუმეების შემოღება და მაშინ «გავბედნიერდებით», მაშ რა მოგვივა!.. აქ უნებლიედ მაგონდება ის დაუვიწყარი დრო, როდესაც სემინარიელებს აეკრძალათ უნივერსიტეტებში შესვლა სწორედ იმიტომ, რომ აკადემიებში კურს-შესრულებულთა რიცხვი არ შემცირებოდა სასულიერო უწყებას...

***

სასულიერო სასწავლებლიდგან სასულიერო გაზეთამდის, დამერწმუნებით, რომ ერთი პატარა ნაბიჯი თუ იქნება. მაშ გარდავსდგამ ამ ნაბიჯსაც და მივადგები კარებზედ «მწყემსის» რედაქციას. «მწყემსი» ჯერ კიდევ ბებიას არ საჭიროებდა და, მაშასადამე, ჯერ კიდევ არ არსებობდა, როდესაც მისს მშობელსა და ძიძაზედ რაღაც ეჭვი აიღეს. აქაო და მომავალის «მწყემსის» რედაქციას ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა და მათი რედაქციები ურწმუნოთა და ეკლესიისა და სარწმუნოების უარის-მყოფელთა ბანაკად მიაჩნიაო, ჩვენს მწერლებს ეძახისო მტრებს, რომელთაც ხელში იარაღად წამოწვეტილი კალამი უჭირავსთო,—«დროების» მეფელეტონემ, მახსოვს, ღირსეულად ვერ იცნო მომავალის «მწყემსის» რედაქცია ამ გვარის ცილის-წამებისათვის. მაშინ, მახსოვს, მ. დ. ღამბაშიძე, რედაქტორი «მწყემსისა», ყველა გამვლელ-გამომვლელს არწმუნებდა, რომ მას უნდილს ცილსა სწამებდენ. შენი არ ვიცი, მკითხველო, და ბევრი კი დარწმუნებულია ახლა, რომ რასაც სწერდენ «მწყემსის» სარედაქტორო გვამზედ, ისე ნამდვილია, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია. მაგრამ ეს საქმე მომავლისათვის მიმინდვია. ახლა წინ მაქვს «მწყემსის» ორი ნომერი და იმაზედ ვილაპარაკებ. ფონი გასავალს უნდა დალოცვოო, ნათქვამია, თორემ ჯერ-ჯერობით ბევრს რამეს გვპირდება «მწყემსის» რედაქცია. ერთი ისა, რომ სოფლელი მწყემსი ეუბნება შორაპნელს მწყემსს—ღმერთმა ჰქნასო, რომ მან «მწყემსმან» სული თვისი დასდვას ცხოვართათვისო*). ამაზედ შორაპნელი მწყემსი აძლევს ხმას სოფლელს მწყემსს: «ჩვენ ყოველივე (ყოველსავე უნდა, მაგრამ «მწყემსს» ქართულს გრამატიკაზედ ნუ დაემდურებით) ღონეს ვიხმართ და ვეცდებით მოყვანილი მაცხოვრის (საიდგან მოჰყავს ნეტავი მაცხოვარი?!) სიტყვები აღვასრულოთ» და თან დასძენს იმედს, რომ მისი თანამოძმენი არ დაივიწყებენ «სიტყვებსა პავლე მოციქულისასა (ვითომ საღმრთო წერილის კილოა, რაღა!), რომელი იტყვის: «ძმანო! ნუ ვინ თავისსა ხოლო ეძიებენ, არამედ მოყვსისასაცა თვი-

*) სწორედ იმისთანა სახლისა, როგორსაც შეჰპირდა საზოგადოებას შორაპნელი ბლაღოჩინი ბოსლევის სამრევლოში.

*) იხილე „მწყემსის“ № 2.

— გაზეთი «თერგი» იწერება, რომ ქავკავში სახალხო მასწავლებელთ, რომელთ რიცხვში მასწავლებელი ქალები და სამღთო სჯულის მასწავლებელნიც ურევიან, დაუწესებიათ სამასწავლებლო საღამოები, რომელთაც საგნათ აქვსთ მასწავლებლების ერთი-ერთმანეთთან დაახლოვება. ეს საღამოები იქნება გამართული ლორის-მელიქოვის სახელოსნო სასწავლებელში. პირველი ყრილობა მოხდება მიმავალს ნოემბერში. ამ საღამოებზე უნდა იკითხონ პედაგოგიური ჟურნალები, განიხილონ სხვა-და-სხვა სამასწავლებლო კითხვები, იმღერონ, ითამაშონ, ჩაი დალიონ, ინადიმონ და სხ. ამისათვის თითო მასწავლებელი 50 კ. იხდის თვეში.

## ორიოდე სიტყვა.

(ჩვენი პირველ-დაწყებითი სკოლის გამო *)

ათი წელიწადის მეტი იქნება, რაც მე ვაგროვებდი ყოველ ნაირ მასალას (გეოგრაფიისას) და ბეჯითად ვსწავლობდი, როგორც საზოგადო, ისე ჩვენი სამშობლოის გეოგრაფიას. რადგან ჩვენი სკოლა საჭიროებდა მეთოდიურს სახელმძღვანელოს, ამიტომ განვიზრახე ამ გვარი სახელმძღვანელოს შედგენა და კიდეც შევადგინე: მართალია, ძალიან მეძნელებოდა ამ საქმისთვის ხელის მოკიდება და პირველად დიდს ყოყმანში ვიყავი, მაგრამ მაინც გავბედე და თანაც ვნუგეშობდი: ჩვენს ენაზე გეოგრაფიის შედგენა პირველი მაგალითია მეთქი, და, რასაკვირველია, ჩემი შრომაც ვერ ასცდება შეცდომებს, ისე ვერა, როგორც ვერ ასცდა ყოველი პირველად გამოცემული სახელმძღვანელოები, არამც თუ ჩვენს ენაზე, არამედ წარმატებულ ენებზედაც. თითქმის ყველგან პირველი საქმე სრული და უნაკლულო არ ყოფილა, მეთქი. ამ მოსაზრების გამო კიდეც ვიფიქრე, რომ თუ ჩემი გეოგრაფია დაიბეჭდა, საზოგადოება სასტიკის თვალით არ შეხედავს ამ პირველ ნაყოფს-მეთქი.

ჩემი განზრახვა შევასრულე და შევადგინე კიდეც გეოგრაფია. წიგნის ენა, ქართული მდაბიური ენის მიხედვით, შეასწორეს ბბ. ი. ბაქრაძემ და მღ. ჯანაშვილმა, ხოლო; რაიც შეეხება წიგნის შინაარსს, ესე იგი, მასალას და ამ მასალის დაწყობას—მეთოდს, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: სახელმძღვანელო გავყავი სამ ნაწილად:

1, სამშობლო. რომელიც შეისწავლება სინტეტიურის მეთოდით ამ ნაირად: სურათი, გეგმი, კლასი, მაშტაბი, ქვეყნის მხარეები, კომპასი, ქალაქი თბილისი და მისი ნაწილები, თბილისის წყლები, ბაღები, ჰავა, მცხოვრებლები, თბილის არე-მარე, ჰორიზონტი, თბილისის გუბერნია, მისი მიჯნები და სივრცე, ამ გუბერნიის ზედა-პირის შენობა და ნიადაგი; წყაროები, მდინარენი და ჭაობნი გუბერნიისა, მცხოვრებლები გუბერნიისა. (ყველა ეს მასალა შეძლებისდაგვარად შეისწავლება თვალ-საჩინოდ. ეს კურსი არის ნიმუში სამშობლო გეოგრაფიის შესწავლებისათვის საზოგადოდ).

2, საქართველო. მიჯნები, სივრცე ზედა პირის შენობა, ჰავა, მდინარენი, მცენარე და ცხოველები, მცხოვრებლები, ენა, რჯული, განათლება, მრეწველობა, ადმინისტრაციული განაყოფილება, თბილისის გუბერნია. ა) კახეთი: საზოგადო განხილვა კახეთისა; (მიჯნები, ზედა-პირის შენობა, რწყვა, ნიადაგი, მცენარე, ჰავა, ცხოველები, მცხოვრებლები). კერძო განხილვა კახეთისა: საინტერესო (მიჯნები, ჰავა, რწყვა, ნიადაგი მცენარე, ცხოველები, მცხოვრებლები, შესანიშნავი ადგილები).

ამ ნაირადვე აღწერილია: ქიზიყი, საგურამო. მერე ქართლი, იმერეთი, ბათუმის ოლქი, ლაზისტანი, ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიები, ჩრდილოეთი კავკასია (დაღისტანი, ოსეთი ჩერქეზეთი).

3, მსოფლიო განხილვა. ასტრონომიული და მათემატიკური გეოგრაფია; ფიზიკური გეოგრაფია.—ევროპის ყოველი სახელმწიფო განხილულია ანალიტიურის მეთოდით; აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია ამ ნაირადვე, მაგრამ მოკლებით.

შენიშვნა. საქართველოს და მსოფლიო განხილვის მასალაც სინტეტიურად ვერ დავაწყეთ, რადგან ძალიან გვეძნელა. მაგრამ მაინც ყოველს მასწავლებელს შეუძლიან შეასწავლოს გეოგრაფია სინტეტიურად—ამ გვარად: სამშობლო: სამშობლოს მაზრა, სხვა მაზრები, მთელი გუბერნია, მერე ახლო გუბერნიები და იმის შემდეგ საქართველოს საზოგადო გეოგრაფიაც.

ეს არის ჩემი შრომა (56 ხელ-ნაწერი თაბახი). როგორც შემეძლო, მასალა მოვაგროვე და ავად თუ კარგად მაინც სახელმძღვანელო შევადგინე. თუ დაიბეჭდა, მაშინ კრიტიკა რა ნაკლულევანებასაც გვიჩვენებს, ჩვენ იმის მიხედვით შევასწორებთ. წიგნის დაბეჭდვა 200-250 მ. ეღირება (ურუკებოთ). სამწუხაროდ მე არა მაქვს შეძლება ჩემის ხარჯით გამოვცე. ვინც გამოსცემს 1200 ეგზემპლიარს, იმას ვაძლევთ შემდეგს პირობას: უკეთუ გამოცემა წლის განმავლობაში არ გაისყიდოს, ჩვენ ვკისრულობთ დანარჩენი ეგზემპლიარები უკანვე შევისყიდოთ გამომცემლისაგან.

მოსე ჯანაშვილი.

13 ვიორგობისთვეს.
ქ. თბილისი.

*) იხ. «დროება» № 228.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ამერიკელი ავაზაკი. თვრამეტი წელიწადი იქნება, რაც ამერიკაში—მისურის და კენტუკის შტატებში—ორი ძმა, ფრანკი და იასე ჯემსნი, თულად არიან გავარდნილნი. ამათ ბევრი ამხანაგები ჰყავანდათ და მათ მოთავედ ესენი იყვნენ. ისეთი სახელი გაუვარდათ ამათ, რომ ორს ხსენებულს შტატში ამათი შიშით ყველა იძრწოდა. რა ბოროტ-მოქმედება გინდათ, ამათ არ ჩაედინოთ: ცარცვა, ქურდობა, კაცის-კვლა და სხ. ამათის ხელობას შეადგენდნენ. იქამდინ თავს წავიდნენ. ეს ავაზაკნი, რომ ბანკებს, დილიჟანებს და რკინის გზის მატარებლებსაც კი ცარცვავდნენ. ისეთი გულადი, მხნე და მარჯვე კაც-კაცნი იყვნენ, რომ მთავრობა თუმცა ბევრი ეცადა, მაგრამ შარშანდელ წლამდინ ვერა დააკლო რა მათ. შარშან კი, როგორც იყო, შემოუჩნდნენ მათ ამხანაგები და იასე ჯემსიც, რომლის თავიც მძიმედ იყო დაფასებული, ორს თავისავე ამხანაგს მოაკვლევინეს. დარჩა მარტო ფრანკ ჯემსი, რომელიც ძმის მოკვლის შემდეგ, დაეცა სულით და თავის ნებით ჩაუვარდა ხელში მისურის გუბერნატორს, რომელიც დაჰპირდა, რომ, სამჯავრომ რაც უნდა გადაგიწყვიტოს, მე გაპატიებინებო. ამ

---

თოეული». ეს რომ გარდავსთარგმნო, გამოვა, რომ «მწყემსის» რედაქცია მოწყალებას ითხოვს, ეხვეწება თანამოძმეებს, ჩემთვისაც იზრუნეთო, ე. ი. ჩემი «მწყემსი» შიმშილით არ მომიკლათო... ერთის სიტყვით, რედაქცია ყველას ეფიცება, რომ მე ღმერთი-რჯული «კეთილი მწყემსი» ვიქნებიო და მგლებს არსად გავექცევიო. მე თუ მკითხავთ, ოღონდაც რომ მართალს ბძანებს «მწყემსის» რედაქცია—ის რომ მგლებს არ გაექცევა, ამაზედ შეგიძლიანთ გული დაჯერებული გქონდეთ!..

***

«მწყემსის» პირველის ნომრის მოწინავე წერილი მარწმუნებს, რომ რედაქცია როგორც მგლებს არ გაექცევა, ისე არ გაექცევა ისტორიულს ფილოსოფიასაც... მოწინავე წერილში ვკითხულობ, სხვათა შორის, იმ სიბრძნეს, რომ ჟურნალ-გაზეთების წყალობით სხვა განათლებულ ხალხებთან რუსეთის სახელმწიფო ხალხმაც ძლიერ წინ წასდგა ბიჯით, მაგრამ-ო სასულიერო წოდებამ პირველად არ მიაქციაო ყურადღება ამ ხალხის გონებითს მოძრაობას, და კიდევ იმასაც ვკითხულობ, რომ ვითომც უმაღლესს სასულიერო მთავრობას დიდად არ მიაჩნდეს მოძლვართა და სარწმუნოების მქადაგებელთა სწავლა-განათლება, და ამიტომ ვითომც ცხოვარმა თავისის მწყემსის სიტყვა ველარ იცნო და წავიდა ისეთს მხარეს, სადაც დიდი ხრამია გადასავარდნი და სხ. და სხვ... სრულიად მართალია, რომ «ცხოვარს თავისის მწყემსის» სიტყვა აღარ ესმის, მაგრამ ამ სასულიერო მთავრობას ცილს რათა სწამებს, რომ მოძღვართა სწავლა-განათლებას მაგდენს მნიშვნელობას არ აძლევენო. ამის თქმა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მთქმელს პეტროვის ლიტერატურის სახელმძღვანელოც არ წაუკითხავს და ილოვაისკის ისტორიაც არ ჩავარდნია ხელში. აბილოთ რუსეთის ძველის დროის სასულიერო წ დება—თუ ეს წოდება არა, მაშ ვინ გახსნა რუსეთში პირველი სასწავლებლები, სხვა-და-სხვა სასულიერო სკოლები და აკადემიაც კი?! თუ სამღვდელო პირები და ბერები არა, მაშ ვინ იყვნენ ამ სკოლებში მასწავლებლები?! ვინ ადგენდენ პირველს სახელმძღვანელოებს, თუ არა ამ სკოლებიდგან გამოსული მქადაგებელნი სარწმუნოებისა?!. ვინ შემოიტანა მოსკოვის სამეფოში განათლების ლამპარი, თუ არა კიევის მსწავლულებმა და ნეტავი თუ ჰგონია «მწყემსის» რედაქციას, რომ ეს კიევის მსწავლულები, პირველი მოციქულები და პიონერები სწავლა-განათლებისა, რომელთა განფანტეს წყვდიადი უმეცრებისა, ბარბაროსობისა, ცრუ-მორწმუნოებისა, საერო წოდებისაგანი იყვნენ და ან საერო სასწავლებლებში კურს-შესრულებულნი?!. სად იყვნენ მაშინ მოსკოვის სამეფოში საერო სასწავლებლები, როდესაც ბრწყინავდენ თავის დროის შესაფერად სასულიერო სკოლები, რომელნიც იძლეოდენ გამოჩენილსა და ისტორიისაგან დაუვიწყარს სასულიერო პირებს?!. ჩანა ბევრნი ამ პირთაგანნი არ იდგნენ უმაღლესს ხარისხზედ და სწავლა-განათლების გავრცელებას ცდილობდენ მოძღვართა შორის?!.. ჩემის აზრის უფრო ნათლად დამტკიცებისათვის, ევროპაშიაც გარდავიყვანდი «მწყემსის» რედაქციას, ვაჩვენებდი იქ, რომ უმაღლესი სასულიერო მთავრობა დიდად და გულ-მოდგინედ სცდილობდა—მოძღვართა და სარწმუნოების მქადაგებელთა ღრმა და დროის შესაფერი განათლება მიეღოთ, ვაჩვენებდი, რომ ყოველს გვარს მეცნიერებას ჰყავდა საქები წარმომადგენლები სასულიერო პირებში,—გარდავიყვანდი მეთქი და ბევრს მამეს ვაჩვენებდი, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ დამეკარგოს სადმე...

***

მხლანდელს უმაღლესს სასულიერო მთავრობაზედ ხომ სულ არ ითქმის რუსეთში და განსაკუთრებით ევროპაში, რომ ვითომც მოძღვართა განათლებას დიდს მნიშვნელობას არ აძლევდეს. აძლევს, რასაკვირველია, და უფრო დიდს მნიშვნელობას, ვიდრე წინად იყო; მაგრამ თუ მწყემსის ხმა ცხოვარს მაინც არ ესმის, თუ ევროპის განათლებული სამღვდელოება ზოგგან ძლივს-ძლიობით იკავებს თავის ცოდვილს დედა-მიწაზედ,—ეს ეს სულ სხვით აიხსნება და არა სამღვდელოების უმეცრებით. მაგრამ მე აბა რა ნება მაქვს, რომ ამისთანა რამეები ვხსნა და აკი არცა ვხსნი!.. იყოს დაბმული, რა მენაღვლება!.. მხოლოდ ისე, რადგან სიცილისა და ფეხის გამოდების გუნებაზედა ვარ, ვიტყვი ჩემთვის, რომ—ვინ იცის—შეიძლება თვითონ მწყემსს აღარ ესმოდეს ცხოვარისა?! შეიძლება, რომ მწყემსი უფრო ცხოვარის ბეჭსა და სათბილოს შესცქეროდეს?!... ისიც შეიძლება, რომ მწყემსი მგლებში გარეულიყოს?!... რატომ არა—ყველაფერი შეიძლება!..

გარეშე მაყურებელი.

ბიბლიოთეკა

დღეებში უთვილა ამ ავაზაკის საქმის გარჩევა გალატინაში და ნაფიცთ მსაჯულთ გამართლებით. იმას ბრალდებოდა, მრავალთა ბოროტ-მოქმედებათა შორის, შემდეგი ბოროტ მოქმედებანიც: 1866 წელსა თებერვალში ქ. ლიბერტიში მივიდა თორმეტი თავით-ფეხამდე დაიარაღებული ცხენოსანი კაცი, ზოგი მათგანი ყარაულად დადგა კარზე და ზოგიც აპოლებული რევოლვერებით შევიდა დამზოგველის კასაში და გაალებინა კასირს ფულის ყუთი, საიდამაც 72000 დოლარი ფული ამოიღეს. ამასთანავე მოჰკლეს რევოლვერით ერთი ბიჭი, რომელსაც უნდოდა შეეტყობინებინა პოლიციისთვის ეს ამბავი. შემდეგ ავაზაკნი გამოვიდნენ გარეთ, დასხდნენ ეკლესიის კიბეებზე, გაიყვეს ფული და არხეინად შეუდგნენ თავის გზას. ამის შემდეგ ბევრი სხვა ბანკებიც გაიცარცვა და ბლომად ფულებიც დაიკარგა: ყველას ხოცავდნენ, ვინც ცარცვის დროს ცოტა რამ წინააღმდეგობას გაუწევდა. ერთხელ რიჩმონდში შემოვარდა თოთხმეტი დაიარაღებული ცხენოსანი და რევოლვერების სროლით ხალხი სულ აქეთ-იქით გაფანტეს, ბანკი გაცარცვეს და შემდეგ საპყრობილეს დაეცნენ, საიდამაც უნდოდათ ორი თავის ამხანაგი განთავისუფლებინათ, მაგრამ ვერ განთავისუფლეს, რადგანაც საპყრობილის დარაჯი მაგრად დახვდა; ორი კაცი მაინც კიდევ მოჰკლეს იქაც და გაბრუნდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ იისე ჯემსი ავად გახდა და თავისმა ცოლმა ურჩია მოგზაურობა მოსარჩენად. რასაკვირველია, მოგზაურობას ბევრი ფული მოუნდებოდა და ამისათვის ავაზაკნი დაეცნენ ქ. კენტუკის, სადაც რორისვილის ბანკიდამ 14 000 დოლარი მოიტაცეს და კასირი და ერთიც ისე მოსამსახურე ბიჭი მოჰკლეს. ამის შემდეგ ავაზაკნი ბევრჯერ დაეცნენ რკინის გზის მატარებლებსაც და ბევრჯერაც ბლომად ფულიც წაიღეს. ერთხელ მყუდრო ოკეანის რკინის გზის მატარებელს დაეცნენ და 12,000 დოლარი ოქრო და 300 000 ფუნტი ჩამოსხმული ვერცხლი მოიტაცეს. ეს ვერცხლი იმ სიმძიმე იყო, რომ ვერ მოერივნენ და იძულებულნი შეიქნენ იქვე დაეტოვებინათ. ამ ორმა ძმამ და მათმა ამხანაგებმა ისეთი სახელი გაიგდეს მთელ შტატში თავის ვაჟკაცობით და მთავრობასთან ბრძოლით, რომ ყველა თრთოდა მათი შიშით და, თუმცა მათი დაჭერისთვის დიდ-ძალი ფული იყო აღთქმული, მაგრამ იმათ არავინ იჭერდა და ბევრს სოფლებში ბინასაც აძლევდნენ. ზოგი იქაური გაკვირვებული იყო მათი საქმეებით, რომ პატივსაც სცემდნენ, როგორც სამშობლოსთვის მებრძოლთ პირთა. თვით ნაფიცთ მსაჯულთაც ეტყობოდათ მათი სახელის გავლენა და ეს იყო მიზეზი, რომ პროკურორმა, რომელიც გაცხარებული ამტყუნებდა თურმე ფრანკს ჯემსს, ვერა გააწყო-რა, და ამართლეს ბრალდებული. სამჯავროს განჩინება დიდის ამბით მიიღო ხალხმა; იმ დღეს დუქნები დაკეტილი იყო და ხალხი ქეიფობდა ჯემსის გამართლების გამო.

# განცხადებანი


მღვდელი სვიმონ ლეონიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ აწ უკვე გარდაცვალებულის შვილის ივანე ლეონიძისა დასაფლავებაზედ დღეს შაბათს ნოემბრის 19 დღესა მობრძანდნენ საკუთარ სახლში, ავჭალის ქუჩაზედ; მიცვალებულს ალექსანდრე ნევსკის ეკლესიაში მიასვენებენ წირვის მოსასმენლად, იქვე იქნება წესის აგება და იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ. (1—1)

## კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზი ამით აცხადებს საქვეყნოდ, რომ ვადაზე 1883 წ. იანვრის და თებერვლის თვეთა ვალის შეუმოუტანებლობის გამო 26 ნოემბერს და 3 დეკემბერს ამ წლისას დანიშნულია აუქციონით გაყიდვა წვრილ, ხელით სატარებელ გირაოთა, და ამასთანავე სთხოვს მათ ვისაც გირაოები ეკუთვნით ან დაიხსნან დაგირავებული ნივთები, ან მეორედ დააგირაონ. (3—1)

რესტორანი.

ქეთევანია დაროგა

უმორჩილესად გამოვუცხადებ პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მაქვს ახლად გამართული ნომრები ავჭალის ქუჩაზედ დონდაროვის სახლებში № 66 თვით სამოვრით და მოსამსახურით, 8 მან. 10 მანეთამდის და დღიურად 50 კ. აგრეთვე კარგი საჭმელები თვით, ორი ბლუდი ერთი რუმკა არაყი ან ერთი სტაქანი ღვინო, 30 კაპ.

პატრონი რესტორანისა დავით ოსაძე,

(3—1)


## ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

მმართველობა ტფილისის თავად-აზნაურობის ბანკისა, ბანკის წესდების მე-15 § ძალით—17 თებერვალი 1881 წ.—ამით აცხადებს, რომ 19 დეკემბერს ამ 1883 წ. შუადღის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ. თ. ბრუზინსკის სახლებში № 13, იქნება გასყიდვა უძრავ ქონებათა ვაჭრობის განუმეორებლად («უპერეტორჟკით») ქვემოდ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზე არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ჩიგიანოვი ალექსანდრე სტეფანეს-ძე. საბოსტნე ადგილი, ვენახი და მარანი 5600 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, მე-9 ნაწილში № 677. თავნი ვალი 3243 მანეთი 74 კაპეიკი, დარჩენილი 259 მანეთი 50 კაპეიკი—სულ ერთიანად 3,503 მანეთი 24 კაპ.

ქანანოვები: მაგდალინა პეტრეს ასული და ნიკოლოოზ დავითის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ყველა მოწყობილობით და $190^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, 1 არშინი და 188 გოჯი მიწით. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, დავითის და კომენდანტის ქუჩებზე. თავნი ვალი 46,813 მან. 16 კაპ., დარჩენილი 4,123 მან. 66 კ.—სულ ერთიანად 50,936 მან. 82 კაპ.

ტერ-მიქელოვი ასლან გაბრიელის-ძე (აწ სოლომონ ივანეს-ძის შაბუროვისა). ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და მიახლოვებით 500 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფ., ქ. ტფილისში, ოლგას გზა-ტკეცილზე, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6,660 მან. 41 კაპ., დარჩენილი 345 მანათი 90 კაპ.—სულ ერთიანად 7,006 მანათი 31 კაპეიკი.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი ბალახონით, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი, გ) თერთმეტი თითო სართულიანი ქვითკირის დუქანი 276 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. ტფილისში: ა) მე-7 ნაწილში, 1 განყოფილებაში და ბ) მე-14 ნაწილში მე 2 განყოფილებაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი 23,842 მან. 22 კაპ., დარჩენილი 3035 მან. 66 კაპ.—სულ ერთიანად 26,877 მან. 88 კაპ.

მირიმანოვი, ისაკი ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ვენახით და 1488 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ვარანცოვის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 3996 მან. 25 კაპ., დარჩენილი 342 მან. 86 კაპ. სულ ერთიანად 4 339 მან. 11 კაპ.

აივაზოვი, გიორგი მიხაილის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 32 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. გორში. თავნი ვალი 1,712 მან. 68 კაპ., დარჩენილი 97 მან. 86 კაპ.—სულ ერთიანად 1,810 მან. 54 კაპ.

ბეჟანბეგოვისა ალექსანდრე თომას ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სამოსამსახუროებით და 44 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზე. თავნი ვალი 6 660 მან. 40 კაპ., დარჩენილი 345 მან. 90 კაპ.—სულ ერთიანად 7.006 მან. 30 კაპ.

გაბუნია მერაბ იაგორას-ძე. ორი ქვითკირის სახლი: ორ-სართულიანი და ერთ-სართულიანი შენობებით და 125 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ქ. გორში. თავნი ვალი 3 688 მან. 27 კაპ., დარჩენილი 251 მან. 62 კაპ.—სულ ერთიანად 3 939 მან. 89. კაპ.

კობიევისა ეკატერინე იოსების ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, სარაითი, თავლით, მარნით, ბაღით, სამოსამსახუროთი, ყოველ ვე მოწყობილობით და 490 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. ტფილისის მე-2 განყოფილებაში, ძუკიაში. თავნი ვალი 12,482 მან. 36 კაპ., დარჩენილი 632 მან. 10 კაპ.—სულ ერთიანად 13,114 მან. 46 კაპ.

ტერ-აფრიამოვი სტეფანე ნიკიტას-ძე. საძ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და $103^3/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე 7 ავლაბრის ნაწილში, მე 2 განყოფილებაში, ქ ტფილისში კახეთის გზაზე. თავნი ვალი 6,913 მან. 30 კაპ., დარჩენილი 481 მან. 2 კაპ.—სულ ერთიანად 7,394 მან. 32 კაპ.

კოშორიძეები: გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით, სამოსამსახუროთი და მიახლოვებით 217 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით მე—3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 19,587 მან. 70 კაპ. დარჩენილი 1,945 მან. 19 კაპ.—სულ ერთიანად 21,532 მან. 89 კაპ.

მაჩაბლისა დარია გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი საყინულეთი და ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით 380 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 11,522 მან. 17 კაპ., დარჩენილი 357 მან.—სულ 11,879 მან. 17 კაპ.

სპანდარიანისა ანნა აღაპარუნოვის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და სამი ფლიგელით ყოველი მოწყობილობით და 325 ოთ-კუთხი საჟ. მიწით. მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 26 399 მან. 23 კაპ., დარჩენილი 1,735 მან. 34 კაპ.—სულ ერთიანად 28,064 მან. 57 კაპ.

ბერძენოვისა დარია გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი 110 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, მოსკოვის ქუჩის ზივით. თავნი ვალი 6,913 მან. 30 კაპ., დარჩენილი 583 მან. 36 კაპ.—სულ ერთიანად 7,496 მან. 66 კაპ.

მაკაროვი პეტრუსა მინასას-ძე. ერთ სართულიან ქვითკირის სახლი ორი ფლიგელით და 333 ოთხ-კუთხი საჟ. 1 არ. და 22 გოჯი მიწით. მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ, ტფილისში, ლაბარატორიის ქუჩაზე. თავნი ვალი 9,601 მან. 82 კაპ., დარჩენილი 489 მან.—სულ ერთიანად 10,090 მან. 82 კაპ.

ჯორჯაძე დავით ზაქარიას-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, თავის მოწყობილობით და 1443 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თელავში. თავნი ვალი 7,489 მან. 43 კაპ., დარჩენილი 612 მან. 72 კაპ.—სულ 8102 მან. 15 კაპ.

რთველაძე დავით ესტატეს-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და $27^1/_4$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 2880 მან. 55 კაპ., დარჩენილი 187 მან. 4 კაპ.—სულ ერთიანად 3,067 მან. 59 კაპ.

(ნახე მეხუთე გვერდი)